მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №67
2022 წლის 07 ოქტომბერი
ქ. მარტვილი

მარტვილის მუნციპალიტეტში, მშვიდობის ქუჩაზე მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ს.კ: 41.09.39.223 მიწის ნაკვეთის (ფართობი 6 კვ.მ.) ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (1900 ლარი) 5%-ის ოდენობით განსაზღვრაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე–2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 36-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს, მარტვილის მუნციპალიტეტში, მშვიდობის ქუჩაზე მდებარე მუნციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთის ს.კ: 41.09.39.223 (ფართობი 6კვ.მ.) ქირის საწყისი წლიური საფასურის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (1900 ლარი) 5%-ის ოდენობით განსაზღვრაზე.
2. განკარგულება გადაეგზავნოს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. N247)

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა